

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თენგიზ ზედანიას მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წელის 1 ნოემბრამდე გაწეული სამუშაოს ანგარიში

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ სამუშაოს. გახლავართ საკრებულოს ფრაქცია „გახარია საქართველოსთვის“-ს თავმჯდომარე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების, და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული ზემოთ ხსენებულ კომისიებში შემოსული საკითხების განხილვასა და ბიუროს მუშაობაში.

საანგარიში პერიოდში მონაწილეობა მივიღე 11 სხდომაში, მათ შორის 2 რიგგარეშე. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების 8 სხდომაში, განხილულ იქნა 16 საკითხი. ასევე სოციალურ საკითხთა 2 სხდომაში, განხილულ იქნა 2 საკითხი. ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს წევრების შეხვედრები საკრებულოს სხდომებზე. შეხვედრები მქონდა როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, სადაც საუბარი ეხება წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას.. მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. ვმართავ მათთან შეხვედრებს როგორც სხვადასხვა საარჩევნო უბნების მიხედვით ასევე ინდივიდუალურ ფორმატში. ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრების რაოდენობა 22 . ამ შეხვედრებზე მონაწილეობდა დაახლოებით 450 ამაღე მოქალაქე. ასევე მქონდა მოქალაქეებთან შეხვედრა ოფისში., მქონდა მოქალაქეთა ინდივიდუალურ მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება, ინფორმაციულობის უზრუნველყოფა, ასევე ვახორციელებდი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს . აქტიურად ვიყავი ჩართული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, ასევე ვიყავი ჩართული სოფელ მუხურში განთავსებული მეფუტკრეობის განვითარების ცენტრის ტერიტორიის პრობლემური საკითხის მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტაში. აქტიურად ვიყავი ჩართული N 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის და მშენებლობის საკითხებში. არაერთხელ შევეხე და მწვავედ წამოვიწიე სამშოიარო სახლის ყოფნა არ ყოფნის საკითხი . მოვიძიე და დავინტერესდი ჩხოროწყუს ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის საკითხებით(თუმცაღა უშედეგოდ). თვალყურს ვადევნებ ინფრასტრუქტურის, ტროტუარებისა და გარე ფასადების მოპირკეთების საკითხს.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობის მანძილზე შექმნილი  
გამოცდილებიდან გამომდინარე, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე,  
მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებულ სხვადასხვა  
პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

თარიღი:

31.10.2022 წ.